სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

31 **აგვისტო, 2026 წ.**

ბრძანება № 01-02/161

ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე
2026-2027 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №129 დადგენილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 12 თებერვლის №06-01/24 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ცოდნის დონის დადასტურების წესის",,ბსუ-ს 2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/70 დადგენილების, „2026-2027 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 03 ივნისის №06-01/123 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2026-2027 სასწავლო წლისათვის გამოცხადდეს მიღება ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 03 ივნისის №06-01/123 დადგენილებით განსაზღვრულ ვაკანტურ ადგილებზე (წინამდებარე ბრძანების **№1 დანართი,** სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელების საკონტაქტო მონაცემების მითითებით).
2. დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს **2026 წლის 8-15 სექტემბერს, ყოველდღე** (გარდა შაბათ-კვირისა) **10**:00 საათიდან **17:**00 საათამდე (რეგისტრაციის ადგილი: ბსუ-ს №1 კორპუსი, პირველი სართული, ოთახი №20, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35).
3. დოქტორანტობის კანდიდატებმა **რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:**

ა) დოქტორანტობის კანდიდატის განცხადება (სააპლიკაციო ფორმა, შევსებული წინამდებარე ბრძანების **№2 დანართის** შესაბამისად);
ბ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
გ) 2 ფოტოსურათი ზომით 3X4–ზე;

დ) მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (2026 წლის კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე, ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - ბსუ-ს მიერ დამოწმებული დიპლომის ასლი; უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) ერთსაფეხურიანი, ხუთწლიანი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრების დამადასტურებელი დოკუმენტი (სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული; **შენიშვნა**: დასაშვებია დოქტორანტობის კანდიდატის დოკუმენტაციის მიღება იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატს ცნობის მიღების მიზნით მიმართული აქვს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ან ბსუ-ს კურსდამთავრებულია (ასეთ შემთხვევებში, ბსუ-ს დოქტორანტობის კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის აქტის გამოცემამდე);

ვ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) **განაცხადი** სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ (,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“ №1 ფორმის შესაბამისად შევსებული და დოქტორანტის სავარაუდო **სამეცნიერო ხელმძღვანელის** (არსებობის შემთხვევაში - სამეცნიერო თანახელმძღვანელის) **მიერ ხელმოწერილი ვერსია),** შევსებული წინამდებარე ბრძანების №**3 დანართის** შესაბამისად;

თ) კვლევითი პროექტის განხორციელების **ინდივიდუალური ხედვა** და ხელმძღვანელის **თანხმობა** (დოქტორანტის მიერ შედგენილი ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“ №2 ფორმის შესაბამისად და დოქტორანტის სავარაუდო **სამეცნიერო ხელმძღვანელის** (არსებობის შემთხვევაში - სამეცნიერო **თანახ**ელმძღვანელის) **მიერ ხელმოწერილი ვერსია),** შევსებული წინამდებარე ბრძანების №**4 დანართის** შესაბამისად;

ი) საკვლევი მიმართულების შესაბამისი ნაშრომი/პუბლიკაცია **ან/და** სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის **ან/და** შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ **ორწლიანი** პროფესიული გამოცდილება - **ეს ინფორმაცია შეტანილი უნდა იქნეს** დოქტორანტის მიერ წარმოსადგენ, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“ №2 ფორმის შესაბამისად შევსებულ, წინამდებარე ბრძანების №**4 დანართში** და შესაბამისი მტკიცებულებები (გამოქვეყნებული პუბლიკაციის ან/და სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ან/და პროფესიული საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა/ცნობები);

კ) **უცხო ენის** ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნოტარიულად დამოწმებული ასლი **(შენიშვნა:** კანდიდატის მიერ სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში უცხო ენის ცოდნის დადასტურება განხორციელდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 12 თებერვლის №06-01/24 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ცოდნის დონის დადასტურების წესის“, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“ და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად);

ლ) სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს შესაბამისი სადოქტორო პროგრამა.

4. დოქტორანტურაში **მისაღები გამოცდები/გასაუბრება ჩატარდეს** (შენიშვნა: დოქტორანტურაში მისაღებ გამოცდებზე დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა იქონიოს და წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი):

4.1. მისაღები გამოცდა **უცხო ენაში (ტესტირება** - მაქსიმალური შეფასება 100 ქულა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარი - 71 ქულა.) - 2026 წლის **17 სექტემბერი** (დაწყების დრო: 10:00 საათი; ჩატარების ადგილი: ბსუ-ს №2 კორპუსი, აუდიტორია №118, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35; **შენიშვნა:** ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე **ან** სხვა, დასავლეთევროპული (ფრანგული, გერმანული) ერთ-ერთი უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე); დოქტორანტობის იმ კანდიდატმა, რომლისთვისაც **ქართული არ არის** მშობლიური ენა - მოეთხოვება ქართული ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა (რომლის შესაბამისობას ადგენს/აფასებს უცხო ენის საგამოცდო კომისია) ან კანდიდატმა უნდა ჩააბაროს ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ბსუ-ს მიერ ორგანიზებული გამოცდა);

4.1.1. უცხო ენის **გამოცდის შედეგების გამოცხადება** - 2026 წლის **17 სექტემბერი;**

4.1.2. უცხო ენის გამოცდის შედეგზე საპრეტენზიო განცხადების მიღება **- 2026 წლის 18 სექტემბერი, 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე**, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით (ბსუ-ს №1 კორპუსი, პირველი სართული, ოთახი №1, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35);

4.1.3. უცხო ენის გამოცდის შედეგზე საპრეტენზიო განცხადებაზე პასუხის მომზადება - 2026 წლის **18 სექტემბერი** (ეცნობება დოქტორანტობის კანდიდატს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე);

4.1.4. უცხო ენის გამოცდის საბოლოო შედეგების შესახებ საერთო ინფორმაციის **უცხო ენის საგამოცდო კომისიის მიერ** ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენა - 2026 წლის **18 სექტემბერი.**

4.2. მისაღები გამოცდა სპეციალობაში (ზეპირი) - 2026 წლის **21 სექტემბერი** (გამოცდის დაწყების დრო: 10:00 საათი; გამოცდის ჩატარების ადგილის შესახებ ინფორმაცია ეცნობება კანდიდატებს შესაბამისი ფაკულტეტის მიერ და განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე; **შენიშვნა:** სპეციალობაში გასაუბრებამდე/გამოცდამდე არანაკლებ ორი სამუშაო დღით ადრე სპეციალობის დარგობრივი კომისიის წევრებს ეგზავნებათ დოქტორანტობის კანდიდატების კვლევითი პროექტების განხორციელების ინდივიდუალური ხედვები და მათი სამეცნიერო ხელმძღვანელების თანხმობების აქტები. გასაუბრება/გამოცდა კომისიის მიერ ფასდება 100-ქულიანი სისტემით („ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებაზე" თანდართული შეფასების №3 ფორმის შესაბამისად).

4.2.1. სპეციალობაში გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2026 წლის **21 სექტემბერი** (ეცნობება კანდიდატებს შესაბამისი ფაკულტეტის მიერ და განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე);

4.2.2. სპეციალობაში გამოცდის შედეგზე საპრეტენზიო განცხადების მიღება - 2026 წლის **22** სექტემბერი, 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით;

4.2.3. სპეციალობაში გამოცდის შედეგზე საპრეტენზიო განცხადებაზე პასუხის მომზადება - 2026 წლის **22 სექტემბერი** (ეცნობება დოქტორანტობის კანდიდატს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).

5. ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებად, არაუგვიანეს 2026 წლის 16 სექტემბრისა **ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შეიქმნას:**
ა) **საუნივერსიტეტო საგამოცდო კომისია** უცხო ენის ცოდნის დონის (კომპეტენციის) დადასტურების/უცხო ენის გამოცდის ჩატარების მიზნით;
ბ) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე - ,,სპეციალობის" გამოცდის (გასაუბრების) ჩატარებისათვის საფაკულტეტო **დარგობრივი კომისია,** ასევე დარგობრივი **სააპელაციო** კომისია **(შენიშვნა:** სპეციალობის გამოცდის დარგობრივი კომისია შედგება არანაკლებ სამი წევრისგან, რომელთა კომპეტენცია დასტურდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესაბამისი დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით);
გ) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე - ,,სპეციალობის" გამოცდის (გასაუბრების) შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში - საჩივრის განმხილველი **სააპელაციო** კომისია **(შენიშვნა: ,,**განაცხადი (საჩივარი) უნდა მოიცავდეს დეტალურ აღწერას და დასაბუთებას დოქტორანტურაში მიღების ან/და ჩარიცხვის პროცედურებში გამოვლენილი დარღვევების შესახებ. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და მოიწვიოს საჩივრის/აპელაციის განხილვაზე არაუგვიანეს განხილვამდე 1 დღით ადრე. სააპელაციო კომისია აპელაციის განხილვის შედეგად, სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, კერძოდ: ა) იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება პროცედურული დარღვევა, შესაბამისი დასაბუთებით (მითითებით) საკითხი უბრუნდება დოქტორანტურაში მიმღებ კომისიას **(საგამოცდო კომისიას),** საჭირო პირობების დაცვით მისი ხელახლა განხილვის მიზნით; ბ) იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისია ვერ დაადგენს დარღვევას, დოქტორანტურაში მიმღები კომისიის (საგამოცდო კომისიის) გადაწყვეტილება რჩება უცვლელი. სააპელაციო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილება გაუგზავნოს/გააცნოს აპელანტს. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას".)

6. უცხო ენის გამოცდის და სპეციალობაში გამოცდის საბოლოო შედეგების გათვალისწინებით **თითოეულმა ფაკულტეტმა გამოავლინოს** შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირები და წარმოდგენილი იქნეს ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათი - 2026 წლის **22 სექტემბერს.**
7. ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი მონაცემების გათვალისწინებით, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა (დოქტორანტების კანდიდატების დოკუმენტების მიმღებმა კომისიამ) უზრუნველყოს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირების ერთიანი სიის მომზადება და ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე დოქტორანტობის კანდიდატების ინფორმირება (სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართებზე).

8. ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან **ხელშეკრულებები გაფორმდეს - 2026 წლის 23-24 სექტემბერს,** 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, ამ პირთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პირველი სემესტრის სწავლის საფასურის (არანაკლებ 1000 ლარის) გადახდის ქვითრის წარმოდგენის საფუძველზე.

9. შეიქმნას დოქტორანტურაში **დოკუმენტაციის მიმღები კომისია,** წინამდებარე ბრძანების **№5 დანართის** შესაბამისად (კომისიის სამუშაო ადგილი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35, №1 კორპუსი, პირველი სართული, ოთახი №20) **და დაევალოს:**

ა) ამ ბრძანებით დადგენილ ვადებში მიიღოს და დაამუშაოს დოქტორანტობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;

ბ) უზრუნველყოს შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმება.

10. ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე **ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს** 2026 წლის **25 სექტემბერს,** შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

11. დაევალოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ განცხადების ტექსტის მომზადება და ვებგვერდზე განთავსებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის მიწოდება.

12. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს წინამდებარე ბრძანება და დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ განცხადება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.

13. დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) განათავსოს ბრძანება ამავე სამსახურთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

14. ამ ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გ. ქათამაძე).

15. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

17. ბრძანება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30.)

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს №01-02/161 ბრძანების

№1 დანართი

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 03 ივნისის №06-01/123 დადგენილებით დამტკიცებული **2026-2027 სასწავლო წელს ბსუ-ს** სადოქტორო პროგრამებზე **მისაღები კონტინგენტი,** კვლევითი პროექტების დასახელება, სავარაუდო **სამეცნიერო ხელმძღვანელები** (თანახელმძღვანელები) **და მათი საკონტაქტო ინფორმაცია**

№	**ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** (პროგრამის აკრედიტაციის ვადა)	**მისაღები კონტინგენტი** (ადგილების რაოდენობა)	**სადოქტორო ნაშრომის კვლევითი პროექტის დასახელება**	**სადოქტორო ნაშრომის კვლევითი პროექტის დამტკიცების თარიღი:** 1. შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე; 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი და სამეცნიერო თანახელმძღვანელი**
1.	**ბიოლოგია** (აკრედიტაციის ვადა - 31.12.2027)	**2**	1. „აჭარისწყლისა და ჭოროხის აუზის ხმელეთისა და წყლის ეკოსისტემების მრავალფეროვნებისა და ბიოეკოლოგიური თავისებურებების ინტეგრირებული სივრცობრივტემპორალური შეფასება ანთროპოგენული ზემოქმედების ფონზე“	ბსუ-ს **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის** ფაკულტეტის: 1. ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №27-21/01, 23.04.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №27–20/02, 24.04.2026 წ.);	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ნანი გვარიშვილი;** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: gvarishvili.nana@bsu.edu.ge; ტელ.: 577 141064) **სავარაუდო სამეცნიერო თანახელმძღვანელი:** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ნინო კიკნაძე.** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: nino.kiknadze@bsu.edu.ge; ტელ.: 593987186)

			2. „მდინარე ჭოროხში ფტალატების გავრცელება და ჰიდრობიონტებზე ზემოქმედების შეფასება ბიომარკერების გამოყენებით“	ბსუ-ს **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის:** 1. ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №27-21/01, 23.04.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №27–20/02, 24.04.2026 წ.);	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი გუგული დუმბაძე; (საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა: dumbadze.guguli@bsu.edu.ge; ტელ.: 577141062) **სავარაუდო სამეცნიერო თანახელმძღვანელი:** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი დავით ბარათაშვილი; (საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა: baratashvili.daviti@bsu.edu.ge; ტელ.: 577465454)
2.	**ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი** (აკრედიტაციის ვადა - 01.07.2027)	**2**	1. „შავი ზღვის აჭარის აკვატორიაში წყლის ჰაბიტატის-ზღვის ბალახი (ზოსტერა) Zosterra ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების კვლევა და მათი გამოყენების პერსპექტივების შეფასება“	ბსუ-ს **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის:** 1. ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №27-21/04, 16.04.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №27–20/02, 24.04.2026 წ.);	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი მაია ვანიძე.** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: maia.vanidze@bsu.edu.ge; ტელ.: 599182322)
			2. „დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ლეღვის ფიტოქიმიური დახასიათება“	ბსუ-ს **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის:** 1. ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი № №27-21/04, 16.04.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №27–20/02, 24.04.2026 წ.);	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი ალეკო კალანდია.** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: aleko.kalandia@bsu.edu.ge; ტელ.: 599572691)

3.	**ბიზნესის ადმინისტრირება** (აკრედიტაციის ვადა - 04.02.2032წ.) **შენიშვნა:** სადოქტორო პროგრამაზე **დაშვების წინაპირობები:** 1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში **(ან** „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალსწინებულ ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო სფეროში კლასიფიცირებულ მიმართულებებში), **ან** ეკონომიკაში;	**5**	1. „ნეირომარკეტინგის თავისებურებების შესწავლა მომხმარებელთა ქცევის კუთხით საქართველოში“	ბსუ-ს **ეკონომიკისა და ბიზნესის** ფაკულტეტის 1. ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №21-21/05, 23.04.2025 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №21-20/04, 20.05.2025 წ.).	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი გელა მამულაძე.** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: mamuladze.gela@bsu.edu.ge; ტელ.: 591980380)
			2. „ადამიანური რესურსის მართვაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობები და ეთიკური გამოწვევები“	ბსუ-ს **ეკონომიკისა და ბიზნესის** ფაკულტეტის 1. ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №21-21/03, 06.02.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №21-20/02, 06.04.2026 წ.)	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი ბადრი გეჩბაია.** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: gechbaia.badri@bsu.edu.ge; ტელ.: 593722115)
			3. „მცირე და საშუალო ბიზნესში ცირკულარული ბიზნესის მოდელების გამოყენების გამოწვევები და მათი დაძლევის გზები (საქართველოს მაგალითზე)“	ბსუ-ს **ეკონომიკისა და ბიზნესის** ფაკულტეტის 1. ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №21-21/03, 06.02.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №21-20/02, 06.04.2026 წ.).	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი ნათელა წიკლაშვილი.** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: natia.tsiklashvili@bsu.edu.ge; ტელ.: 577952595)
			4. „სადაზღვევო ინდუსტრიის რისკ-კულტურა და პასუხისმგებლობის გავლენა ფინანსურ მდგრადობაზე“	ბსუ-ს **ეკონომიკისა და ბიზნესის** ფაკულტეტის 1. ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი ასიე ცინცაძე.**

	2. საკვლევი მიმართულების შესაბამისი ნაშრომი/პუბლიკაცია **ან/და** სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის **ან/და** შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ <u>ორწლიანი</u> პროფესიული გამოცდილება			სხდომაზე (ოქმი №21-21/03, 06.02.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №21-20/02, 06.04.2026 წ.).	(საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: asie.tsintsadze@bsu.edu.ge; ტელ.: 593344155)
			5. „საქართველოს საზღვაო სატრანსპორტო სექტორის საინვესტიციო მიმზიდველობა შავი ზღვის რეგიონის განვითარებად საზღვაო ეკონომიკებში“	ბსუ-ს **ეკონომიკისა და ბიზნესის** ფაკულტეტის 1. ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №21-21/03, 06.02.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №21-20/02, 06.04.2026 წ.).	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის **ასოცირებული პროფესორი დავით ქათამაძე.** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: qatamadze.davit@bsu.edu.ge; ტელ.: 591988771)
4.	**ფილოლოგია** (აკრედიტაციის ვადა - 31.03.2030 წ)	**5**	1. „ნასახელარი ზმნები ქართულში"	ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა** ფაკულტეტის 1. ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/03 06.03.2026); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/5, 22.04.2026	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი მაია ბარამიძე** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: maia.baramidze@bsu.edu.ge; ტელ.: 577469885)
			2. „მიმღეობის გრამატიკული და სემანტიკური თავისებურებანი ქართულსა და თურქულ ენებში (შედარებითი ანალიზი)"	ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა** ფაკულტეტის 1. ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/03 06.03.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/5, 22.04.2026 წ.)	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი მაია კიკვაძე;** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: maia.kikvadze@bsu.edu.ge; ტელ.: 599024142) **სავარაუდო თანახელმძღვანელი:**

					ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დარგობრივი დეპარტამენტის **ასოცირებული პროფესორი ლიანა ჭყონია.** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: lia.chkonia@bsu.edu.ge; ტელ.: 577658024)
			3. „ხატოვანი სიტყვა-თქმები აჭარულ დიალექტში (ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები)“	ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა** ფაკულტეტის 1. ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/03 06.03.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/5, 22.04.2026 წ.)	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის **ასოცირებული პროფესორი ნანა ცეცხლაძე** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: nana.tsetskhladze@bsu.edu.ge; ტელ.: 595917811)
			4. „ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა" და სალიტერატურო ცხოვრება 1960-იანი წლების აჭარაში“	ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა** ფაკულტეტის 1. ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/04 24.03.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/5, 22.04.2026 წ.)	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: malkhaz.chokharadze@bsu.edu.ge; ტელ.: 577722202)
			5. „ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები აჭარასა და სვანეთში (ნარატიული სტრუქტურები და რელიგიური ტრანსფორმაციები)“	ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა** ფაკულტეტის 1. ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/05 14.04.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/5, 22.04.2026 წ.)	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ნაილე მიქელაძე** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: naile.mikeladze@bsu.edu.ge; ტელ.: 514040471)

5.	**ისტორია** (აკრედიტაციის ვადა - 17.03.2030 წ)	**8**	1. „ბათუმის ოლქის სოციალურ-საზოგადოებრივი და კულტურული ტრანსფორმაცია 1880-1914 წლებში"	ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის:** 1. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/03. 07.04.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/5, 22.04.2026 წ.)	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტის **ასოცირებული პროფესორი ლაშა ბაჟუნაიშვილი** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: lasha.bazhunaishvili@bsu.edu.ge; ტელ.: 591054905)
			2. „საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მდგომარეობა აჭარაში 1921- 1930 წლებში"	ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის:** 1. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/03. 07.04.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/5, 22.04.2026 წ.)	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: otar.gogolishvili@bsu.edu.ge; ტელ.: 593617895)
			3 „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და დიდი ბრიტანეთი: ბათუმის ოლქის პოლიტიკურ-დიპლომატიური სტატუსი 1918-1920 წლებში"	ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის:** 1. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/03. 07.04.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/5, 22.04.2026 წ.)	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის **ასოცირებული პროფესორი ნუგზარ ზოსიძე** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: n.zosidze@bsu.edu.ge; ტელ.: 595354555)
			4. „მიგრაციული პროცესები თურქეთის შავიზღვისპირეთში 1877-1930 წლებში (აჭარიდან მიგრირებულთა მაგალითზე)"	ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის:** 1. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/3. 07.04.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/5, 22.04.2026 წ.)	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის დოქტორი როინ მალაყმაძე (საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა: roin.malakmadze@bsu.edu.ge; ტელ.: 577203838)

			5. „მართლმადიდებლობის გავრცელება და განვითარება ქობულეთში: სახელმწიფოებრივი და სოციალურ-კულტურული როლის დინამიკა ისტორიულ კონტექსტში (IV-XXI საუკუნეები)	ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის:** 1. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/3. 07.04.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/5, 22.04.2026 წ.)	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების **მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ნაილა ჩელებაძე** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა: naila.chelebadze@bsu.edu.ge; ტელ.: 597870377)
			6. „ტერიტორიულ-სასაზღვრო დავები საერთაშორისო საზავო კონფერენციების კონტექსტში 1917-1921 წლებში"	ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის:** 1. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/3, 07.04.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/5, 22.04.2026 წ.)	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტის **ასოცირებული პროფესორი არჩილ ვარშალომიძე** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: archil.varshalomidze@bsu.edu.ge; ტელ.: 577141010)
			7. „პოლონეთის საგარეო პოლიტიკა 1918-1939 წლებში: ბალანსის ძიება ორ იმპერიას შორის და მისი კრახი"	ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის:** 1. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/3, 07.04.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/5, 22.04.2026 წ.)	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის **ასოცირებული პროფესორი ხათუნა დიასამიძე** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: khatuna.diasamidze@bsu.edu.ge; ტელ.: 577427130)
			8. „ტერიტორიული დავების გენეზისი და ევოლუცია ცენტრალურ აზიაში (1924-2022 წწ.)"	ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის:** 1. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგობრივი	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგობრივი

				დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №22-21/3, 07.04.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №22-20/5, 22.04.2026 წ.)	დეპარტამენტის **პროფესორი ირაკლი გორგილაძე** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: irakli.gorgiladze@bsu.edu.ge; ტელ.: 577252500)
6.	**ფიზიკა** (აკრედიტაციის ვადა - 01.07.2027წ)	**1**	1. „ლაზერით სინთეზირებული ნანოსისტემების ელექტრომაგნიტური და სპინტრონიკული თვისებების თეორიული და რიცხვითი მოდელირება“	ბსუ-ს **ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის:** 1. ფიზიკის დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე (ოქმი №23-21/01, 29.01.2026 წ.); 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №23-20/01, 26.02.2026 წ.)	**სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ფიზიკის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი ნუგზარ ღომიძე** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: gomidze@bsu.edu.ge; ტელ.: 577179727)

,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს №01-02/161 ბრძანების

№2 დანართი

ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველის **(დოქტორანტობის კანდიდატის)**

სააპლიკაციო განაცხადი

სახელი და გვარი	
პირადი ნომერი	
მოქალაქეობა	
ფაქტობრივი მისამართი	
რეგისტრაციის მისამართი	
ელფოსტა	
ტელ. ნომერი (მობილური)	
მიღებული განათლება (შენიშვნა: მოეთხოვება მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი)	სწავლის პერიოდი: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: მინიჭებული აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია):
უცხო ენის ფლობა **(შენიშვნა:** დოქტორანტურაში **ჩარიცხვის მსურველს მოეთხოვება** ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე **ან** სხვა, დასავლეთევროპული (ფრანგული, გერმანული) ერთ-ერთი უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე; იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას, მოეთხოვება ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა;	ინგლისური ენის ცოდნის დონე: ○ B1 ○ B2 ○ C1 ○ C2 ○ სხვა: დასავლეთევროპული (ფრანგული, გერმანული) ენის ცოდნის დონე: ○ B1 ○ B2 ○ C1 ○ C2 ○ სხვა:
ბსუ-ს სადოქტორო პროგრამის დასახელება, რომელზეც ჩარიცხვა სურს აპლიკანტს	
სადოქტორო ნაშრომის (დისერტაციის) კვლევითი პროექტის **თემის დასახელება** (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად)	,,----------„
ბსუ-ში სავარაუდო **სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი,** თანამდებობა (რომლის თანხმობა მოპოვებულია) **ბსუ-ში** სავარაუდო **სამეცნიერო**	**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** სახელი: გვარი: თანამდებობა: ----------

თანახელმძღვანელის (არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, თანამდებობა (რომლის თანხმობა მოპოვებულია)	**სამეცნიერო თანახელმძღვანელი:** სახელი: გვარი: თანამდებობა:
გსუ-ს დოქტორანტურის დებულების თანდართული **№1 ფორმის** შესაბამისად შევსებული ,,სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ განაცხადის" წარმოდგენის შესახებ ინფორმაცია	○ დიახ (თან ერთვის სააპლიკაციო განაცხადს) ○ არა (განმარტეთ მიზეზი) -----
გსუ-ს დოქტორანტურის დებულების თანდართული **№2 ფორმის** შესაბამისად შევსებული ,,კვლევითი პროექტის განხორციელების ინდივიდუალური ხედვა და ხელმძღვანელის თანხმობის" წარმოდგენის შესახებ ინფორმაცია	○ დიახ (თან ერთვის სააპლიკაციო განაცხადს) ○ არა (განმარტეთ მიზეზი) -----
სხვა ინფორმაცია, აპლიკანტის შეხედულებით	

ვადასტურებ წინამდებარე **სააპლიკაციო განაცხადში** მითითებული ინფორმაციის სისწორეს და **წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობას**	**აპლიკანტის სახელი და გვარი** (სრულად) - - **ხელმოწერა** ----------
აპლიკაციის შევსების და წარმოდგენის **თარიღი**	

,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს №01-02/161 ბრძანების №3 დანართი

(„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“ **ფორმა №1)**

განაცხადი

სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ

ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა: ----------

1. ინფორმაცია სამეცნიერო ხელმძღვანელის შესახებ

1.1. სახელი და გვარი ----------

1.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება ----------

1.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) **დარგის/მიმართულების** Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

	სამეცნიერო ნაშრომის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი	დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამეცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი	შენიშვნა

1.4. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა:

	სამეცნიერო პროექტის სახელწოდება	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღი	სტატუსი პროექტში	დამფინანსებელი ორგანიზაცია	ელექტრონული მისამართი	პროექტში ჩართული პირები	შენიშვნა

1.5. სამეცნიერო ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის **გამოცდილება**

	უსდ-ს დასახელება	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტუდენტის სახელი და გვარი	ნაშრომის სახელწოდება	წელი	შენიშვნა

1.6. რელევანტური ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა.

	ღონისძიების ტიპი	ღონისძიების დასახელება	ორგანიზატორი	ჩატარების თარიღი	ჩატარების ადგილი	შენიშვნა

1.7. **ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან სამეცნიერო თანამშრომლობის გამოცდილება** (ერთობლივი კვლევები/გრანტები/სამეცნიერო პროექტები)

_____
_____
_____

2. ინფორმაცია სამეცნიერო თანახელმძღვანელის შესახებ (არსებობის შემთხვევაში)

2.1. სახელი და გვარი ----------

2.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება ----------

2.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

	სამეცნიერო ნაშრომის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი	დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი	შენიშვნა

2.4. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა:

	სამეცნიერო პროექტის სახელწოდება	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღი	სტატუსი პროექტში	დამფინანსებელი ორგანიზაცია	ელექტრონული მისამართი	პროექტში ჩართული პირები	შენიშვნა

3. სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობა

3.1. კვლევითი პროექტის დასახელება

3.2. კვლევის სიახლე და აქტუალურობა

3.3. კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა

სამეცნიერო თანახელმძღვანელის ხელმოწერა

თარიღი:

,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს №01-02/161 ბრძანების №4 დანართი

,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“ **ფორმა №2**

კვლევითი პროექტის განხორციელების ინდივიდუალური ხედვა და ხელმძღვანელის თანხმობა

ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:

1. **ინფორმაცია დოქტორანტობის კანდიდატის შესახებ**

1.1. სახელი, გვარი:

1.2. საკვლევი მიმართულების დარგში შესრულებული ნაშრომი/პუბლიკაცია:

	ნაშრომის/ პუბლიკაციის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი	დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამეცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი	შენიშვნა

1.3. სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა :

	სამეცნიერო პროექტის დასახელება	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღი	სტატუსი პროექტში	განმახორციელებელი ორგანიზაცია	ელექტრონული მისამართი	პროექტში ჩართული პირები	შენიშვნა

1.4. სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობა

	ღონისძიების დასახელება	მოხსენების სათაური	ღონისძიების ორგანიზატორი	ღონისძიების თარიღი	ელექტრონული მისამართი	თანამომხსენებელი	შენიშვნა

1.5. შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი პროფესიული გამოცდილება

---

2. კვლევითი პროექტის განხორციელების ინდივიდუალური ხედვა

2.1. **პროექტის დასახელება**

2.2. **კვლევის სიახლე და აქტუალურობა** - პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემის/საკითხის მიმოხილვა, აღწერა, აქტუალურობისა და მეცნიერული სიახლის დასაბუთება (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 600).

2.3. **კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია** - კვლევის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება, კვლევის მეთოდების აღწერა, კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400).

2.4. **კვლევის შედეგები, განვითარების პერსპექტივა და განხორციელების ეტაპები** - კვლევის მოსალოდნელი შედეგების ფორმულირება; კვლევის განვითარების შესაძლებლობა გრძელვადიან პერსპექტივაში (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400).

3. თანხმობა დოქტორანტობის კანდიდატის **სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე/თანახელმძღვანელობაზე**

3.1. ხელმძღვანელის სახელი, გვარი: ----------
ხელმოწერა ----------

3.2. თანახელმძღვანელის სახელი, გვარი: ----------
ხელმოწერა ----------

დოქტორანტობის კანდიდატის ხელმოწერა ----------

თარიღი:

,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის აგვისტოს №01-02/ 161 **ბრძანების**

№5 დანართი

2026-2027 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა (დოქტორანტობის კანდიდატების)

დოკუმენტაციის მიმღები კომისია

1. **ამირან შარაძე** - ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი (თავმჯდომარე);
2. **ხათუნა გამყრელიძე -** ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (წევრი);
3. **მარიამ ბოლქვაძე** - ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (წევრი);
4. **თინათინ ჭიჭვეიშვილი** - ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (წევრი);